საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეგქონდარა

ბეგქონდარა (Thymus), ყვავილოვან მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. 5–30 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქები, იშვიათად ბუჩქებია. მარტივი, მთლიანი ფოთლები აქვთ. ჩხროებად განლაგებული ყვავილები შეკრებილია თავაკისებრ ყვავილებად. 400-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიის ზომიერი ჰავის ქვეყნებში და გრენლანდიაში; 1 სახეობა გაველურებულია ჩრდ. ამერიკაში.

საქართველოში ამ გვარის 12 სახეობა იზრდება, მათგან 5 კავკ. ენდემია, 2 კი საქართველოსი (Th. ladjanuricus, Th. tiflisiensis); გვხვდება მშრალ ქვიან ფერდობებზე, კლდეთა ნაპრალებში, უპირატესად სუბალპ. და ალპ. სარტყლებში.

ბ-ს მთიან ადგილებში ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს – იგი ხშირად პირველი სახლდება გადარეცხილ ნიადაგსა და მოშიშვლებულ გრუნტზე.

ეთერზეთოვანი მცენარეებია, იყენებენ პარფიუმერიაში, კვების მრეწველობასა და მედიცინაში. ბევრგან ჩაის სუროგატადაც ხმარობენ. სახეობათა უმრავლესობა დეკორატიულია, იყენებენ ქვის გორაკებისათვის. შეიცავს C ვიტამინს, თაფლოვანია.

მ. სახოკია